სხვა ხარჯები		(39 570)	(48 613)
საოპერაციო მოგება		48 444	(147 466)
საპროცენტო ხარჯები, ნეტო		(243 127)	(333 069)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		(639 861)	(322 527)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(834 545)	(803 062)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(834 545)	(803 062)

 /მამუკა კოკლამაშვილი/
დირექტორი



 /ნინო მჭედლიშვილ/
მთავარი ბუღალტერი


6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(993 094)	(993 094)
მთლიანი სრული ზარალი	-	(485 609)	(485 609)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(1 478 703)	(1 478 703)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3 000	-	3 000
მთლიანი სრული ზარალი	-	(803 062)	(803 062)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3 000	(2 281 765)	(2 278 765)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(243)	-	(243)
მთლიანი სრული ზარალი	-	(834 545)	(834 545)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2 757	(3 116 309)	(3 113 552)

კონსოლიდირებული მოგება და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(1 478 703)
მიმდინარე წლის (2019) მოგება (ზარალი)	(803 062)
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(2 281 765)
მიმდინარე წლის (2020) მოგება (ზარალი)	(834 545)
საწესდებო კაპიტალის ზრდა+/-შემცირება	-
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(3 116 309)

 /მამუკა კოჭლამაზაშვილი/
დირექტორი



 /ნინო მუავანაძე/
მთავარი ბუღალტერი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020	2019
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3 161 515	7 093 915
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	1 024	11 044
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2 204 374)	(6 319 772)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(84 621)	(160 214)
საბანკო ხარჯები	(6 074)	(12 570)
გადახდილი გადასახადები	(217 215)	(413 161)
სხვა გადახდილი თანხები	(19 521)	(8 652)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	630 734	190 589
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2 707)	(1 540)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	(213)	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(2 920)	(1 540)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	5 300	-
გადახდილი სესხის პროცენტები	(204 915)	(207 569)
გადახდილი სესხი	(432 884)	-
სარეზერვო კაპიტალის გაზრდა	-	-
სარეზერვო კაპიტალის შემცირება	-	3 000
მიღებული სესხი	-	-
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(632 499)	(204 569)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	(4 685)	(15 520)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	35 430	50 950
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	30 745	35 430

 /მამუკა კოჭლავაძე/

დირექტორი



 /ნინო მუჟანაძე/

მთავარი ბუღალტერი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს „ოცდარვა“ არის 2014 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №11ა, სართული 6, ბ.№13, ბლოკი "ბ".

ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.ბათუმი, ბაგრატიონის და სულაბერიძის ქუჩების კვეთა. კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ბენზინით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

საწარმო წინამდებარე ანგარიშგებაში მოყვანილ შვილობილ საწარმოსთან ერთად იწოდება - ჯგუფად.

კომპანიის პარტნიორი	31.დეკ.20	31.დეკ.19	31.დეკ.18
დავით ამამუკელი 01008008743	-	100,00%	100,00%
გიორგი გაჩეჩილაძე 01008002195	100,00%	-	-
სულ:	100,00%	100,00%	100,00%

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს წილის 100%-ს ფლობს გიორგი გაჩეჩილაძე (01008002195) - საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი.

2. მომზადების საფუძველი

2.1. ზოგადი ინფორმაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის (შპს „ოცდარვა“, შპს „ლიზი ოილი“), როგორც ერთი მთლიანი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან მთლიანად არის ამორიცხული შიდა ჯგუფური ნაშთები და შიდა ჯგუფური ოპერაციები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული საწარმოს პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრებაზე. საწარმოს პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, კონსოლიდირებული ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

2.2. შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი		დაფუძნების		
საწარმო	31. დეკ. 20	იურისდიქცია	თარიღი	სფერო
შპს ლიზი ოილი (ს/ნ 406281991)	100%	საქართველო	04.06.2019	საცალო ვაჭრობა ბენზინით

საწარმო ფლობს შვილობილი საწარმოს 100%-ს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

ჯგუფი ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

- (ა) იმყოფება ჯგუფის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

„ჯგუფი“ ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) ჯგუფისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებლად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

ჯგუფი ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

• შენობა-ნაგებობები	30 – 50 წელი;
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 – 10 წელი;
• მანქანა დანადგარები	5 – 10 წელი;
• სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10 წელი;
• ძალოვანი დანადგარები	5 - 10 წელი

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუი ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში ჯგუფი აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ამამუკაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს ჯგუფი ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას ჯგუფი ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

(ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;

(ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და

(გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

ჯგუფი არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და

(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ ჯგუფი არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

ჯგუფი არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3.3.5. გაუფასურება

ჯგუფი არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ამამუკაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

ჯგუფი მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

ჯგუფი მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

ჯგუფი მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში ჯგუფი მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდება).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს გარიგების ფასით.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3.5.3. გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფმა დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფი საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს ჯგუფის მესაკუთრის მიერ ჯგუფში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა ჯგუფის მომგებიანი საქმიანობებიდან და ჯგუფში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

ჯგუფი საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს ჯგუფი აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება ჯგუფი მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ჯგუფი ლიკვიდაციას ან მისი საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას არ გეგმავს.

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

5. პირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშნა- ნაგებობები	ავაჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2019					
შემოსვლა	510 250	1 457 199	72 197	1 500 730	3 540 376
გასვლა	100 000	476 425	37 488	566 367	1 180 280
გადაცემები	(100 000)	(548 031)	(39 290)	(780 202)	(1 467 523)
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	510 250	1 385 593	-	-	-
ისტორიული ღირებულება 01.01.2020	510 250	1 385 593	70 395	1 286 894	3 253 133
შემოსვლა	-	1 955	340	-	2 295
გასვლა	-	-	(1 473)	(477 834)	(479 307)
გადაცემები	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	510 250	1 387 548	69 263	809 060	2 776 121
ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	-	132 614	22 924	304 805	460 343
ცვეთა	-	70 064	11 882	130 884	212 830
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	(79 384)	(14 250)	(201 151)	(294 785)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	123 295	20 556	234 538	378 388
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020	-	123 295	20 556	234 538	378 388
ცვეთა	-	69 346	11 031	83 672	164 049
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	(176)	(22 642)	(22 818)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	-	192 641	31 410	295 567	519 618
საბალანსო ღირებულება					
საბალანსო ღირებულება 01.01.2019	510 250	1 324 584	49 274	1 195 925	3 080 033
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	510 250	1 262 298	49 840	1 052 357	2 874 745
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	510 250	1 194 907	37 852	513 493	2 256 502

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

6. მარაგები

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>	<u>01.01.2019</u>
საწვავი	-	74 675	89 478
	<u>-</u>	<u>74 675</u>	<u>-</u>
		74 675	89 478

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>	<u>01.01.2019</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 396	14 045	201 924
გადახდილი ავანსები	218	1 366	438
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-	2 143
	<u>2 614</u>	<u>15 411</u>	<u>204 505</u>

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>	<u>01.01.2019</u>
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	30 240	22 862	2 828
ნაღდი	504	6 222	41 562
ფული გზაში	-	6 346	6 560
	<u>30 745</u>	<u>35 430</u>	<u>50 950</u>

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

9. მიღებული სესხები *

	საპროცენტო განაკვეთი %	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
სესხი N1 ფიზიკური პირისგან	5%-10%	5 003 627	4 823 697	4 502 252
		5 003 627	4 823 697	4 502 252

* სესხის საბაზრო პროცენტის ცვლილების შესაბამისად კომპანიამ გამსესხებელთან შეთანხმებით 01.07.2019-დან მოახდინა მიღებულ სესხზე არსებული განაკვეთის (10%) შემცირება 5%-მდე

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
გადასახდელი პროცენტები	226 128	173 995	58 338
კრედიტორული დავალიანება	156 830	272 142	297 000
გადასახდელი ხელფასები	6 119	-	1 750
მიღებული ავანსები	2 262	-	884
	391 339	446 137	357 972

11. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	1 717 117	5 007 849
შემოსავალი (ექსპორტი)	438 635	-
შემოსავალი ბუნებრივი აირის რეალიზაციიდან	303 229	768 059
შემოსავალი იჯარიდან	214 272	57 365
	2 673 253	5 833 273

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
საწვავი	1 543 509	4 569 908
ბუნებრივი აირი	231 909	600 790
	1 775 418	5 170 699

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	164 049	212 830
შრომის ანაზღაურება	113 748	201 564
კომუნალური ხარჯი	29 554	73 081
ბანკის საკომისიო	5 974	12 470
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	-	153 133
სხვა ხარჯი	496 497	112 010
	809 820	765 087

14. წინა წლის ანგარიშგების შესწორება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში კომპანიამ გადაწყვიტა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა ფინანსური ანგარიშგების შესწორება, კერძოდ:

2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯის ნაწილის (22 540 ლარი) რეკლასიფიკაცია, რომელიც დაემატა საერთო ადმინისტრაციულ ხარჯს.

2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა რეალიზებული საქონლის თვითღირებულების თანხებიდან დანაკარგად აღიარებული საქონლის თვითღირებულებების ამოღება და მათი რეკლასიფიკაცია სხვა ხარჯებად.

2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად მოხდა გამსესხებელ ფიზიკური პირის მიმართ არსებული საპროცენტო დავალიანების ასახვა. მანამდე ფინანსურ ანგარიშგებაში ხდებოდა

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გამსესხებელი ფიზიკური პირისთვის გადახდილი (და არა სესხის ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული) საპროცენტო თანხების ასახვა. აღნიშნულმა გამოიწვია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლის გაზრდა და რაღგანაც გადასახდელი პროცენტი დარიცხულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად მოხდა საკურსო სხვაობის მუხლის კორექტირება. აღნიშნულმა გავლენა იქონია 2019 წლის მოგება ზარალზე.

2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა საწვავის ავზებში არსებული იმ ნაშთების დანაკლისად აღიარება (მათ შორის დაზუსტდა ღღგ-ს საგადასახადო დეკლარაციები), რომელთა ამოღებაც საწვავის ავზებიდან ტექნიკურად ვერ მოხერხდებოდა და ავზებთან ერთად მფლობელობაში გადაეცა მოიჯარეს. აღნიშნულმა გავლენა იქონია (დააკორექტირა) მარაგების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშებზე.

- დაზუსტდა სხვა უმნიშვნელო ცდომილებები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კორექტირება:

2018 წლის 31 დეკემბერი	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	ბალანსი შესწორების შემდეგ
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3 080 035	(2)	3 080 033
მარაგები	89 536	(58)	89 478
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	203 486	1 019	204 505
ფული და ფულის ექვივალენტები	51 298	(348)	50 950
კაპიტალი და ვალდებულებები			
გადასახადები	40 915	2 529	43 444
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	327 619	30 353	357 972

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს „ოცდარვა“

2019 წლის 31 დეკემბერი	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	ბალანსი შესწორების შემდეგ
აქტივები			
მარაგები	82 802	(8 127)	74 675
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	8 247	8 247
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 568	(158)	15 411
ფული და ფულის ექვივალენტები	33 635	1 795	35 430
კაპიტალი და ვალდებულებები			
გაუნაწილებელი მოგება	(2 098 012)	(183 753)	(2 281 765)
გადასახადები	5 879	11 559	17 438
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	272 185	173 952	446 137

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კორექტირება:

2019 წელი	მოგება/ზარალი შესწორებამდე	კორექტირება	მოგება/ზარალი შესწორების შემდეგ
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(5 173 629)	2 930	(5 170 699)
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	(22 540)	22 540	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(742 594)	(22 493)	(765 087)
სხვა ხარჯები	(34 462)	(14 151)	(48 613)
საპროცენტო ხარჯები, ნეტო	(193 843)	(139 225)	(333 069)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო	(321 445)	(1 082)	(322 527)

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.